

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულ-სპორტისა და საზოგადოებრივი მიჯნობისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 40 (1210) ხუთშაბათი, 8 აპრილი, 1958 წ. ბამოცემის №14 წელი ფასი 30 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დარგბენილება

სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეხების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო
დღეს:

შეიქმნა სსრ კავშირის მთავრობა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნიკიტა ხრუსჩოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე —
ფროლ რომანისძე კოზლოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ანასტას ივანესძე მიქოიანი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ალექსი
ნიკოლოზისძე კობიანი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ალექსან-
დრე თედორესძე ზახიდაძე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავში-
რის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე — იოსებ იოსებისძე
კუჭინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — დიმიტ-
რი თედორესძე უსტინოვი

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი — ივანე გრიგოლისძე
კახიანი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი — ნიკოლოზ პავლესძე დუ-
დოროვი

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი — ვიქტორ პეტრეს-
ძე ელიუტინი

სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრი — პეტრე
იაკობისძე ანტროპოვი

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — მარიამ დიმიტრის
ასული კოვრიგინა

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი — ანდრია ანდრიაძე გრომიო.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრი — ნიკოლოზ ალექსანდრესძე
მიხაილოვი

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრი — ვიქტორ გორგისძე
ბაკევი

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი — როდონ იაკობისძე მალინოვსკი

სსრ კავშირის გზათა მინისტრი — ბორის პავლესძე ბეშჩევი

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი — ნიკოლოზ დემიანისძე
ფურცევი

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი — ვლადიმერ ვლადიმე-
რისძე მაკევიჩი

სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი — ექვთიმე
პავლესძე სლავსკი

სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი — დიმიტრი ვასილისძე პავლოვი

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი — ევგენი თე-
დორესძე კოუვენკოვი

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი — არსენი გრიგოლისძე ზევერი

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი — სერგი მიხეილისძე
ტიხომიროვი

სსრ კავშირის პურის პროდუქტების მინისტრი — ლეონიდე რომანისძე
კორნიევი

სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრი — ალექსი სერგისძე
პავლენკო

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირვე-
ლი მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი — გიორგი ვასილისძე პეროვი

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოად-
გილე — სსრ კავშირის მინისტრი — ვასილ პეტრესძე ზოტოვი

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოად-
გილე — სსრ კავშირის მინისტრი — ნიკოლოზ ივანესძე სტროკინი

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოად-
გილე — სსრ კავშირის მინისტრი — მიხეილ ვასილისძე ხრუსჩიანი

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფრო-
სი — სსრ კავშირის მინისტრი — გრიგოლ სერგისძე ხლამოვი

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფრო-
სი — სსრ კავშირის მინისტრი — ალექსანდრე აკიმისძე აშკოვი

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფრო-
სი — სსრ კავშირის მინისტრი — ექვთიმე სტეფანესძე ნოვოსილოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავ-
მჯდომარე — გიორგი ვასილისძე ენიუტინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სა-
ხელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — ალექსანდრე პეტრესძე ვოლოკოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური
კომიტეტის თავმჯდომარე — იური ევგენისძე მაქსარიოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კო-
მიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი — პეტრე ვასილისძე
დემენტიევი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავდაცვის ტექნიკის სახელმწიფო კო-
მიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი — კონსტანტინე ნიკო-
ლოზისძე რუდნევი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიოელექტრონიკის სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი — ვალერი დიმიტ-
რისძე კალმიკოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გემთმშენებლობის სახელმწიფო კომი-
ტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი — ბორის ესტატესძე
ბუტომა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე — ვლადიმერ ალექსისძე კუჩერენკო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის
სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — სიმონ ანდრიაძე სკაჩკოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშ-
რობის კომიტეტის თავმჯდომარე — ივანე ალექსანდრესძე სეროვი

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე — ნიკო-
ლოზ ალექსანდრესძე ბულგანინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატის-
ტიკური სამმართველოს უფროსი — ვლადიმერ ნიკონისძე სტაროვსკი

სსრ კავშირის კონსტიტუციის 70 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკების
მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით:

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — დიმიტრი სტეფა-
ნესძე პოლიანსკი

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნიკიტორე ტიმოთეს-
ძე კალჩენკო

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნიკოლოზ ეფ-
რემისძე ავხიმოვიჩი

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — მანსურ ზიას-ძე
მირზა-ახმედოვი

ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — დინმუჰამედ ახმე-
დისძე კუნაევი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — გივი დიმიტ-
რისძე ჯავახიშვილი

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — აადიბ ჯაჯიიარა-
ლისძე რაგიმოვი

ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — მოტიეუს იუოზის-ძე
შუშაუსკასი

მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ალექსანდრე
ფილიპესძე დიორდიცა

ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ვილის ტენისის-ძე
ლატისი

ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — კაზი დიკამბაის-
ძე დიკამბაევი

ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნახარზო დოღბუ-
ლოვი

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ანტონ ერვანდის-
ძე ქოჩინიანი

თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ჯუმა დურდი
ყარაევი

ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ალექსი ალექსან-
დრესძე შიორისენი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. ჯორჯილიძე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1958 წ. 31 მარტი.


დიდი მატჩი
ანგარიშები 6,5:4,5
ნიკოლოზისძე

XI პარტიის, რომელიც 1 აპრილს
გათამაშდა, თამაშად შეიძლება ეწო-
დოს ფსიქოლოგიური პარტია. საქმე
იმაშია, რომ სმისლოვმა ამ მატჩში
პირველად დაიწყო პარტია ლაზიე-
რის წინამდებარე პაიკით, რაც მო-
ულოდნელი იყო ბოტვინიკისათვის.
მაგრამ არც იგი დარჩა ვალში.
ბოტვინიკმა გაითამაშა გრიფინელ-
დის დაცვაში სმისლოვის ვარიანტის
ცნობილი სისტემა, რითაც მატჩი
აიძულა ებრძოლა საკუთარი ვარიან-
ტის წინააღმდეგ.

მე-8 სვლამდე პარტია დაემთხვა
ამ მატჩის IV პარტიას, მაგრამ შემ-
დეგ სხვა გზით წარიშობა. ბოტვი-
ნიკის მე-13 სვლის შემდეგ, როცა
მან კუ გამოთიშა თამაშიდან, შეიქმ-
ნა პოზიცია ლილიენტალ-ბრონსტეი-
ნის (სტოკპოლში, 1948 წ.) პარტიი-
დან. მაშინ ბრონსტეინმა სიძნელე-
ების გადალახვით მიაღწია ყაიმს.
შეიძლება ბოტვინიკს ჰქონდა რაი-
მე გაუმჯობესება, მაგრამ რაკი
პარტიაში იგი არ გამოყენებულა,
ექს-რემპიონის სადებიუტო არჩე-
ვანს არა აქვს გამართლება. ეს
პარტიის შემდგომში ნაწილად ცხად-
ყო.

მოგვყავს ეს სინტერესო პარტია.

3. სმისლოვი — მ. გორბინიკი
გრიფინელის დაცვა
1. d4 მ16 2. c4 გნ3 მ3 d5 4.
მ13 კგ7 5. ლხ3 დ6 6. ლc4 0-0 7.
e4 კგ4 8. კგ3 მ17 9. ემ1 მხ6 10.
ლხ3 მც6 11. მ5 მე5 12. კ2 მ:ჩ3+
13. გფ კხ5
14. h1 ლd7 15. a4 (სმისლოვი
სწირავს პაიკს, რა თქმა უნდა არ ვარ-
გოდა 15. ... კ:ა3+ 16. ლ:ა3 ლ a4
17. კხ6 გამო. აპიტომ ბოტვინიკ-
მა ნახევარი საათი მოფიქრების
შემდეგ ითამაშა) 15. ... a5 16. მხ5
მ:ა9 17. კ14



ასტეტებს შვი მეთის მისადგომებს,
აქ ბოტვინიკს უნდა ეთამაშა 17. ...
კ:d4 და 18. ... მხნ კონტრთამაშით
ახლა კი ნოქ შედება სწრაფად ვითარ-
დება თერთების სასარგებლოდ.

17. ... მდ6 18. კგ7 მგ:გ7 19.
მ14 (არ იყო კარგი 19 ლc3+ მფგ8
20. ლ:ე7 ლ:ე7 21. მ:ე7 ეა8 გამო,
რადგან შვები პაიკში აქტიურ თა-
მამს ლეზულობდნენ) 19. ... მფგ8 20.
გმ1 ლხ3 21. ლე3 ე5 (თუ 21. ... ლ:ხ4,
თამენ 22. ლხ6 მრავალი მუქარებით)
22. დc bc 23. ლფ5 ე5 24. მც6 ბოტ-
ვინიკი დანებდა ლ ხ5 და მ:ე7 მუქა-
რების გა:ო

ახლა ორთაბრძოლის ანგარიშია
6,5:4,5 მ. ბოტვინიკის სასარგებ-
ლოდ. დღეს შედგება XII პარტია.

ახალი მარხუვით
ტრადიციული საკავშირო მრავალ-
დღიანი ველორბოლა დიდი პოპულა-
რობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში.
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს-
თან არსებულმა ფიზიკური კულტუ-
რისა და საპორტის კომიტეტმა მიიღო
დადგენილება ჩატარდეს მიმდინარე
წელს ტრადიციული ველორბოლა
შეცვლილი მარხუვით. რბოლის
ტრასა, რომელიც 2 ათას კილომე-
ტრზე მერტა, გაივლის ბელორუსიის,
ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და
რუსეთის ფედერაციის ტერიტორი-
ებზე.

რბოლაში მონაწილეობას მიიღებენ
მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკო-
ვისა და ლენინგრადის ნაერები გუნ-
დები.

ჩვენი დიდი ღონისძიება

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ტრადიციული სპორტკლავია ჩვენი საზოგადოებრიობის ხაზგასმული ყურადღებულ სარგებლობს ყოველთვის. ეს ახსენება იმით, რომ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ სპორტსმენთა უმრავლესობა „დინამოს“ წევრები არიან. არანაკლებ ინტერესს იწვევს მიმდინარე წლის სპორტკლავი, რომელიც გაიმართება მოსკოვში, 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე.

საქართველოს დინამოელები ამ დიდ და საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის გულდასმით ემზადებიან, თვითონ გადავადებულ უკანასკნელი, 1955 წელს ჩატარებული სპორტკლავის შედეგებს და სათანადო დასკვნები გავაკეთეთ. სხვათა შორის, ამ სპორტკლავში ჩვენი საერთო გუნდური მეთოდი ადგილი დაეკავა თუმცა მესამე ადგილზეც შეგვეძლო გამოსვლა, მაგრამ ჩათვალს მტად რთულმა სიტუაციამ შეგვიშალა ხელი. ტანმოვარჯიშეები და ძალისხმეები მეორე ადგილებზე გამოვდნენ, მოცურავეებმა დაიკავეს მესამე ადგილი, მძლეოსნებმა — მეოთხე და ა. შ. მაშინ შეიძლება სახეობაში გონაწილეობდით, რომელთაც ხუთი საველდებულო იყო. 1958 წლის სპორტკლავი კი სხვა სისტემით ჩატარდება. იგი მოეწყობა სპორტის 19 სახეობაში. ჩემპიონობისათვის ერთმანეთს შეეცილება „დინამოს“ 10 მსხვილი ორგანიზაცია.

ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ სპორტის 11 სახეობაში და სპორტულ თამაშებში. იმის გამო, რომ ჩათვალს ახალ სისტემაში აღარაა საველდებულო ყველა სახეობაში გამოვალა, საქართველოს სპორტსმენები გამოვლენ მხოლოდ იმ სახეობებში, სადაც მათ პირველ ხუთეულში მოხვდნენ რეალური შესაძლებლობა აქვთ: ჭიდაობა (კლასიკური, თავისუფალი, სამბო), ცურვა-

ში, მძლეოსნობაში, კრივეში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში, ველობობაში, სროლასა და ხუთბურთში. ჩათვალს შვიდი პირველი ათი ადგილი. რაც შეეხება სპორტულ თამაშებს (ფრენბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი) აქ სავალდებულოა ყველა სახეობაში მონაწილეობა.

„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ იანვარში იმსჯელა სპორტკლავის მომზადების საკითხებზე. მან შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი. ი. ელუზინაიკოვის თავმჯდომარეობით. კომიტეტმა დაამტკიცა მწვრთნელები, სპორტსმენების მიუჩინა სავარჯიშო ადგილები, უზრუნველყო ისინი საქაიონ-ვეტერარით. მოზადების საკითხი ცალკე განიხილეს თვით სპორტულმა სექციებმა. დროის უმოკლეს ვადაში მწვრთნელებმა წარმოადგინეს თავიანთი სამუშაო გეგმები და შეცადი-ნებობათა განრიგი.

საუბარი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ვ. დიდიქოსთან

საქართველოს დინამოელთა სპორტულ დედაციმაში შევა 80 სპორტსმენი (მხოლოდ ისტატები და პირველთა ორგანიზატორები). ეს გარემოება ახალ ამოცანებს სახავს „დინამოს“ ორგანიზაციის წინაშე. საქართველოში მწვრთნელების სპორტსმენები, რომ წარბა-ტბა გვექნება ყველა სახეობაში. მით უმეტეს, რომ ჩვენ განზრახული გვაქვს ვიბრძოლოთ მესამე ადგილისათვის.

ცალკეულ სპორტსმენთა მაღალ შედეგებს შეუძლია საერთო გუნდური ჩათვლაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. მაგალითად, თუ

სპორტსმენმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი გუნდის ენაბრება 10 ქულა, საბჭოთა გავმხრისა — 7 ქულა, ხოლო „დინამოსი“ — 5 ქულა. კარგად მუშაობენ ცნობილი მწვრთნელები ლ. თაყაიძელი, მ. თიყაიძე, ჯ. ნინიაშვილი, გ. ვართანოვი, გ. ფარცვა-ნია, ბ. დანიელი და სხვები.

მუყაითად ემზადებიან ფეხბურთელები, კალათბურთელები, ფრენბურთელები და წყალბურთელები. სპორტის სამ სახეობაში თამაშები ჩატარდება სამ ეტაპად: ზონებში, შემდეგ 10 გამარჯვებულს შეჯიბრება და აქედან პირველი ოთხი ჩემპიონობისათვის იბრძოდება ფინალში. წყალბურთელები შეიკრიბებიან სეპარატოვლად, სადაც იტყობიან გამარჯვებული შეხვდება ერთმანეთს ფინალურ თამაშებში.

ფეხბურთელთა გუნდი დაკომპლექტდება ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის „დინამოს“ გუნდების ბაზაზე, კალათბურთისა და წყალბურთის

სპორტსაზოგადოების ინტერესებს დაცევენ თბილისის „დინამოს“ ცნობილი კოლექტივები. ცუდი მდგომარეობაა ფრენბურთში. მართალია, გუნდი შედგენილია მაკარჯიშობს, მაგრამ იგი სუსტია. აქ საჭიროა დავეხმაროს ფეხბურთის რესპუბლიკური კომიტეტი. საქმე იმაშია, რომ თბილისის განათლების განყოფილების ჭაბუკ ფრენბურთელთა გუნდმა, რომელსაც ავარჯიშებდა ჩვენი საზოგადოების მწვრთნელი ზ. მარგარიშვილი, გასული წლის მოსწავლეთა საკავშირო სპორტკლავში პირველი ადგილი დაიკავა. წელს ეს გუნდი არ არსებობს, რადგან ბავშვებმა დაამთავრეს სკოლა და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობენ სწავლას. კარგი იქნებოდა, რომ რესპუბლიკური კომიტეტი ეს ნიჭიერი კოლექტივი მოიხილავდნენ და „დინამოსისათვის“

საჭიროა დაისვას საკითხი სტუდენტთა თამაშებისა და „დინამოს“ სპორტკლავის ვადების შეცვლის შესახებ. დინამოელი სპორტსმენები რომელთა უმეტესობა სტუდენტები არიან, ბუნებრივია, ვერ შეძლებენ ორივე შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებას. ვადების შეცვლის შემთხვევაში კი მათ შეეძლებათ სამუშაოება ორივე ღონისძიებაში დაივიან თავიანთი სპორტსაზოგადოებისა და სასწავლებლის სპორტული ინტერესები.

სპორტკლავის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე თვეა. ამიტომ მოზადება საფუძვლიანად შეიძლება გუნდები და ცალკეული სპორტსმენები მეცადინეობასთან პარალელურად აქტიურად მონაწილეობენ საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მათ სპორტულ მაჩვენებლებს.

ნიჭიერების როლი მოსწავლეთა სპორტული სპეციალობის შერჩევაში

დოქ. გ. ნიკოლაიშვილი
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე

მოსწავლეთა სპორტული წარმატებისათვის, მის ზოგად ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ცალკეულ მოსწავლეთათვის სპორტული სპეციალობის შერჩევის საკითხი.

ცნობილია, რომ სპორტსმენის სპორტული წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორადაა შერჩეული სპორტის მოცემული სახეობა სპორტსმენის პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებთან. ამიტომაც, არაიშვიათად სპორტში წარმატებლობა იმით ახსნება, რომ სპორტსმენისთვის სწორად არ არის შერჩეული სპორტული სპეციალობა.

სპორტი, როგორც ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, ავითარებს სხვადასხვა ფიზიკურ თვისებებს. მისი ცალკეული სახეობა კი თავისი სპეციფიკის მიხედვით ავითარებს ამა თუ იმ ფიზიკურ თვისებას. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სპორტის თვითუც სახეობას საერთო თვისებებთან ერთად, საკუთარი სპეციფიკა აქვს და ამის მიხედვით მოითხოვს სპორტსმენისაგანაც ისეთ თვისებებს, რომელიც სპორტის აღებულ სახეობას შეესატყვისება. ასე მაგალითად, ტანვარჯიშში თავისი სპეციფიკის მიხედვით მოითხოვს მოგარჯიშის მოძრაობის კარგ კოორდინაციას, გამძლეობის დიდ უნარს, ტანის სიმსუბუქეს, ელასტიურობას და მისი თავისუფლოდ დამარხილების უნარს, ასევე ფსიქიკურ სფეროში — ნებისყოფისა და ყურადღების სიმტკიცეს და სხვ.

ფარჯიანთა სპორტის ისეთი სახეობა, რომელიც მოგარჯიშისაგან მოითხოვს მოქმედების სიტუაციის შესატყვისად მხედველობითი აღქმის სისწრაფეს, მოძრაობითი რეაქციის მნიშვნელოვანი მნიშვნელობის სისუსტეს, ტაქტიკურ შეგროვებათა დახვეწილობას, მოწინააღმდეგის ტექნიკური და ტაქტიკური მოქმედების სწრაფი ანალიზის უნარს, მოქმედებაში წონასწორობასა და განსაკუთრებით გამძლეობას ნერვული სისტემის სფეროში.

ფეხბურთი — ტაქტიკური აზროვნებას, დროში და გარემოში სწრაფ და სწორ ორიენტირებას, ბურთის მაღალ გრძნობასა და სხვ.

ამრიგად, სპორტის ცალკეული სახეობა, საერთო ნიშნებთან ერთად, სპეციფიკური თვისებებითაც ხასიათდება.

ასევე, აღნიშნის პიროვნებაც საერთო დამახასიათებელ თვისებებთან ერთად ინდივიდუალური თვისებებიც შემცველია. სპორტის ცალკეული სახეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის მიხედვით საჭირო თვისებები თითქმის მეტწილად ყველას აქვს და ყველა ეს თვისება ვითარდება მეტწილად ფიზიკური აღზრდისა და სპორტით მეცადინეო-

ბის პირობებში, მაგრამ როდესაც პიროვნება ბუნებით დაჯილდოებულია გარკვეულ ფიზიკურ და ფსიქიკურ თვისებებითა მონაცემებითა და მიდრეკილებებით, როგორცაა, მაგალითად, გამძლეობა, სისწრაფე, მოქნილობა, ტაქტიკური აზროვნება, სწრაფი და ზუსტი ორიენტაციის უნარი და სხვ., ამ შემთხვევაში, ცხადია, ასეთ პიროვნებას მეტი პერსპექტივები აქვს ამ მიმართებით მოქმედებისა და დახვეწებისათვის. ამიტომ, აუცილებელია სკოლაში ცალკეულ მოსწავლეთათვის სპორტული სპეციალობის შერჩევის შემოკლებულ ვიზუალურად მონარდის ინდივიდუალური მონაცემებით, მისი ამ მიმართულებით ნიჭისა და უნარის მიხედვით. ეს გამოვლინებულ უნდა იქნას მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პროცესში მასწავლებლის მიერ.

როდესაც მოზარდის ნიჭსა და უნარზე მივუთითებთ, როგორც სპორტული სპეციალობის შერჩევის მნიშვნელოვან ფაქტორზე, საქმე ისევე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქმის მოზარდის პიროვნებაში იმთავითვე მზამარებული და სპორტის რომელიმე სახეობისათვის უკვე ფორმირებული ნიჭი არსებობდეს. ნიჭი და უნარი უნდა გავიგოთ როგორც მოსწავლის პიროვნებაში ბუნებრივად მოცემული განსაზღვრული მიმართულებით აქტიურობის შესაძლებლობა, რომლის ორგანულ საფუძველს პიროვნების მორფოლოგიური და ფუნქციონალური თვისებებთან მონაცემები წარმოადგენენ. ნიჭისა და უნარის საბაზო ფორმირება, მისი მოქმედების გარკვეული სახით ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება მთლიანად დამოკიდებულია იმ საღმრთლო გარემოზე, რომლის ზეგავლენასაც ის განიცდის.

მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებასაც, რომ ნიჭი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე უნარი. უნარი ერთი განსაზღვრული თვისების გამოხატულებაა. ასე მაგალითად, „კარგი სმენა“ უნარია, მაგრამ ის საჭიროს არ არის იმისათვის, რომ რაიმე დასრულებული სახის მოქმედება გამოვლინდეს წარმატებით. ამ შემთხვევაში მართლაც „კარგი სმენა“ არ არის საჭიროს იმისათვის, რომ მაღალი ღირსების მუსიკალური ნაწარმოები შექმნა. ამისათვის საჭიროა, კარგ სმენასთან ერთად, რიტმის მაღალი გრძნობა, წარმოსახვის სათანადო შესაძლებლობა და სხვ. ასევე სპორტში, მოქნილობისათვის მნიშვნელოვანია ფიზიკური ძალა, მაგრამ მართლაც ვერ იმსახურებს ჯერჯერ უზრუნველსა და სპორტსმენის ვარჯიშისათვის, მასთან ხანგრძლივი მუშაობის, მიუხედავად, მხოლოდ სპორტულ შეჯიბრებაში მისი წარმატების თუ წარუმატებლობის შედეგად გამჩვევით აუცილებელია ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პროცესში სათანადო ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა ამ მხარეებს, დროულად გამოვლინოს ისინი და ამის მხედვით აწარმოოს სპორტული სპეციალობის შერჩევა მოსწავლეთათვის.

ნია ფიზიკური ძალა, მაგრამ მართლაც ამ თვისების შექმნე პიროვნება ვერასოდეს ვერ გახდება მაღალი ღირსების მოქმედებზე, რადგან ძალისთან ერთად აუცილებელია სხვა თვისებებიც, როგორცაა, მაგალითად, გამძლეობა, ნებისყოფის სიმტკიცე, ტაქტიკური მოქმედების უნარი და სხვ. სპორტის ამა თუ იმ სახეობისათვის არ არის საჭიროსი მარტო ერთი გარკვეული უნარი, არამედ ამასთან, საჭიროა სპორტის მოცემულ სახეობისათვის დამახასიათებელი სხვა შესატყვისი მონაცემებიც, რომელთა კომპლექსი და ერთობლიობა გარკვეული მიმართულებით აქტიურობის ანუ ნიჭის მაჩვენებელია.

ამრიგად, ნიჭი პიროვნების ის შესაძლებლობაა, რომელიც გარკვეული მოქმედების მაღალი წარმატებით შესრულებას გულისხმობს. მაგრამ, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნიჭის გამოვლინება, მისი განვითარება და გამოყენება მოითხოვს ისეთ მოქმედებას, რომელიც თვით ამ ნიჭს მოითხოვს. ნიჭის განვითარებისათვის საჭიროა სათანადო გარემო და აღზრდა, რომლის გარეშე ის აქტიურობა არსებობდეს იმ სახით, როგორც ეს დამახასიათებელია ნიჭიერი ადამიანის მოქმედებისათვის. ყურადღებულად უნდა იქნას შევხებით, რომელიც სპორტში სწავლება, ვარჯიშობა და შეჯიბრება აუცილებელი პირობაა მოცემულ თვისებებთან განვითარებისა და პიროვნების შემოქმედებით აქტიურობისათვის. ამიტომ, ნიჭი აღზრდისა და შრომის ფუნქციონალია და მისი პროდუქტი. ამდენად სპორტში ნიჭის განვითარებისა და მისი წარმატებით გამოყენების მნიშვნელოვანი ფაქტორია შესატყვისი სპორტული სპეციალობის შერჩევა და სათანადო საღმრთლო გარემოს შექმნა.

ყოველი ზემოაღნიშნული შედეგად გასაგებია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ სპორტისა და კერძოდ მოსწავლეთა-ახალგაზრდობაში სპორტის წარმატებით განვითარებისათვის მოსწავლეთა ბუნებრივ შესაძლებლობათა ნიჭისა და უნარის შესატყვისად სპორტული სპეციალობის სწორი შერჩევა.

სამწუხაროდ, ეს საქმე ჯერ კიდევ ვერ იმსახურებს ჯერჯერ ყურადღებას და სპორტსმენის ვარჯიშისათვის, მასთან ხანგრძლივი მუშაობის, მიუხედავად, მხოლოდ სპორტულ შეჯიბრებაში მისი წარმატების თუ წარუმატებლობის შედეგად გამჩვევით აუცილებელია ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პროცესში სათანადო ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა ამ მხარეებს, დროულად გამოვლინოს ისინი და ამის მხედვით აწარმოოს სპორტული სპეციალობის შერჩევა მოსწავლეთათვის.

სპორტკლავის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე თვეა. ამიტომ მოზადება საფუძვლიანად შეიძლება გუნდები და ცალკეული სპორტსმენები მეცადინეობასთან პარალელურად აქტიურად მონაწილეობენ საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მათ სპორტულ მაჩვენებლებს.

ჩესკოვლიკის ქალაქებსა და რაიონებში

გურჯაანი

საქიდაო ასპარეზზე გაიმართა რაიონული შეჯიბრება ქართულ კი-დობაში ჭაბუკთა შორის. წინითი კატეგორიების მხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: ო. გოჩაშვილი, ო. კასრელიშვილი, გ. თაღამიშვილი, კ. ისაშვილი, კ. ცანკაშვილი, გ. უტიაშვილი.

გასულ სასწავლო წელს ვეჯიხის საშუალო სკოლის სპორტული ბაზა მეტად დარბი იყო. შეფის — გეოლოგიური პარკის დასმარებით მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სპორტულ დარბას შეემატა ლერძი, ორძელი, სახტომი ტაიპი. მიმდინარეობს სპორტული მოედნების კეთილმოწყობა.

დოსაფის გურჯაანის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა პირველადი ორგანიზაციის ტყვიით მსოფლიო ორგანიზაციის დაუსრულებელი შეჯიბრება. მასში მონაწილეობა მიიღო 21 პირველადი ორგანიზაციის 23-მა გუნდმა 115 სპორტსმენის შემადგენლობით.

შეჯიბრებაში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ბაკურციხის მსოფლიო-სამეურნეო ტექნიკუმის მსოფლიო-სამეურნეო გუნდმა. აღნიშნულ შეჯიბრებაში დოსაფის I საფეხურის მსოფლიოს ნორმა შესარულა 64-მა სპორტსმენმა, II საფეხურისა — 22-მა სპორტსმენმა, ხოლო მესამე სპორტული თანრიგისა — 17-მა სპორტსმენმა.

ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის შედეგად შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ბაკურციხისა და მუქუნის შეიღწიანი სკოლების, ჩუშლაყის კომეუნურიების, გურჯაანის ღვინისა და საკონსერვო ქარხნების პირველადი ორგანიზაციები.

თ. გოგიაშვილი

აქტივის კრებაზე

გამართა დოსაფის აბაშის რაიონული აქტივის კრება, რომელიც გახსნა საქართველოს კვ აბაშის რაიონის პირველმა მდივანმა მ. ბოკერია. მოხსენებით გამოვიდა რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კვარაცხელია კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონმსაკომის თავმჯდომარე ა. ჯღერავაძე, აბაშის მარქსის სახელობის კომპლექსის პარტორგანიზაციის მდივანმა ს. კანტურიამ, სეფიეთის საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ბალათურიამ და სხვებმა.

აქტივის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ცუდად მუშაობენ სამიქაოს, კვათანის კოლმეურნეობათა, მელორეობის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა პირველადი ორგანიზაციები.

აბაშაში დოსაფის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეთა ორდინანი სემინარები. რომელზეც წაკითხული იქნა 9 მოხსენება. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 80-მდე კაცი.

ი. თოფური

ახალი ნიგნი

ამას წინათ გამოქვეყნდა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცა ქართულ ენაზე ე. ლასკერის წიგნი „ქადაგანის თამაშის სახელმძღვანელო“ (მეორე გამოცემა, თარგმანი შესრულებულია ა. ებრაელიძის მიერ). წიგნი კარგადაა გაფორმებული, შეიცავს 327 გვერდს და ღირს 7 მან.





სურათებზე წინა მატჩებში შეჯიბრებაში გაიმარჯვებულა თბილისის I გუნდი... თბილისელ ხალხარაძისა და ბათუმელ ჭეჭინაძის ორთაბრძოლა...

ვინტან დანიცავს ჩემპიონობას მ. კაკაბაძე

5 აპრილს თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალურ საკადრეო კლუბში იწყება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 1958 წლის პირველობა.

ჩემპიონობაში ე. კაკაბაძეს შეეცილება 15 მოჭადრაკე თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, ხაშურიდან, თელავიდან და სხვა ქალაქებიდან. სამწუხაროდ, მონაწილეთა შორის ვერ ვიხილავთ ნ. გაფრინდაშვილს, რომელიც წელს ამთავრებს საშუალო სასწავლებელს და გამოცდებისათვის ემზადება.

დელაქალაქის სპორტულ ღირსებას პირველობაში დაიცავენ თბილისის 1958 წლის ჩემპიონი მ. ტოგონიძე, საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი ქ. გოგიავა, პირველთანრიგისანი ლ. ხაჭაპურიძე, ახალგაზრდები მ. ჩომახიძე, ი. კამენკოვიჩი და ე. სამოსია. მათ მხარში ამოუდგებიან ბათუმელი პირველთანრიგისანი ა. ჩიოკოვსკაია, თელაველი 13 წლის გოგონა თამარ ხუცაველი, რომელმაც ამას წინათ თავი ისახელა თელავის ვაჟთა პირველობაში, ხაშურელი მოსწავლე ნ. ფანქველაშვილი, სოფელ მუხრანის (მცხეთის რაიონი) საშუალო სკოლის მოსწავლე 16 წლის ე. ხუბუა, ქუთაისელი პირველთანრიგისანი გ. ბუტხრიკიძე, ონელი მეორეთანრიგისანი თ. ბერიაშვილი და სხვები.

საქმიის ახალი შევადგენლობა

მძღოლსონობის შემდგომი განვითარების მიზნით ამას წინათ სტალინში შეიკრიბნენ ქალაქის მოწინავე მძღოლსონები, სექციის წევრები და აქტივისტები. მძღოლსონობის სექციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სექციის თავმჯდომარე მ. ტრანკაშვილი. მან ილაპარაკა იმ ნაკლოვანებათა და ხელშემშლელი პირობების შესახებ, რომლებიც აფერხებენ მძღოლსონობის განვითარებას სამხრეთ ოსეთში, კერძოდ კი სტალინში. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მოსწავლეთა საქვეშინო სპარტაკიადის ჩემპიონი სიმბალეხე ხტომაში რ. ლობოვი.

კრებამ აირჩია სექციის ახალი შემადგენლობა (თავმჯდომარე ა. გეორგიშვილი, მწვრთნელთა საბუკო თავმჯდომარე მ. ტრანკაშვილი) და მსაჯულთა კოლეგია.

სოხუმში 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა რესპუბლიკური გუნდურა შეჯიბრება თავისუფალ კიდაობაში ახალგაზრდათა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისისა და სხვა გუნდები.

მეორე ჯგუფის გუნდებს შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ ონის რაიონის მოჭიდავეები. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ სვარჯილსა და გორის გუნდები.

პირველ ჯგუფში კონკურენციის გარეშე იბრძოდნენ თბილისის პირველი ნაყრები გუნდის მოჭიდავეები (წინითი კატეგორიების მიხედვით: ა. დავითაშვილი, ლ. ძაგანია, ვ. რუბაშვილი, გ. ჯინჭარაძე, ე. სულაძე, დ. დავლიანიძე, ნ. გოგობედაშვილი, ლ. კუჭუხიძე). თბილისელთა შორის ყველა მოწინააღმდეგეს და დაიკავეს პირველი ადგილი. მეორე ადგილზე არიან ქუთაისელი მოჭიდავეები, მესამეზე — თბილისის მეორე გუნდი.

ვ. სემიონოვი

ნორჩ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური პირველობა

ნორჩ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური შეჯიბრების ბოლო დღის პროგრამაში იყო ნებისმიერი ვარჯიშები ყველა მალალ თანრიგში. მოზარდთა პირველ თანრიგში გოგონათა შორის ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვა ზაშურის გუნდის წევრმა გ. მოსიძემ — 62,8. მეორე ადგილზე გამოვიდა ა. დიმიტა (აჭარა) — 59,75, ხოლო მესამეზე — ლ. ნიკოლაიშვილი (სამტრედი) — 58,9.

ქაბუჯთა შორის ამავე თანრიგში გამარჯვებული გამოვიდა თბილისელი ტურგენიანი — 101,3 ქულა, რომელმაც ერთადერთმა ყველა მონაწილეთაგან შეასრულა სათანადო ნორმატივი. მომდევნო ადგილებზე არიან გ. კობერიძე (გორი) — 97,2 და თ. კილასონია (თბილისის ლენინის სახელობის რაიონი) — 94,9.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა გოგონათა შეჯიბრება მოზრდილთა პირველ თანრიგში. საბოლოოდ პირველ სამ ადგილზე გამოვიდნენ თბილისის ლენინის სახ. რაიონის ტანმოვარჯიშეები: ვ. ადამაშვილი — 65,75, ნ. ხარაშვილი — 65,65 და ი. რომელაშვილი — 65,35 ქულა. უნდა აღინიშნოს, რომ სამი-

ვე სპორტსმენი საგრძობლად ჩამორჩა სათანადო ნორმატივს (69 ქულა). ქაბუჯთა შორის პირველ თანრიგში თავიდანვე დაწინაურდა თბილისის განათლების განყოფილების სახ. ნიკოლაიშვილი, თ. კარბელაშვილი და თ. ბარამიძე. ნებისმიერი ვარჯიშების შესრულების შემდეგ კარბელაშვილს აღმოაჩნდა 100,4 ქულა, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი. მომდევნო ადგილებზე არიან აბრამიშვილი და ბარამიძე.

გოგონათა შორის, რომლებიც გამოდიოდნენ ოსტატთა პროგრამით, უძლიერესი იყო ა. მარიამიძე (თბილისის განათლების განყოფილება), რომელმაც მრავალჯერ დააგროვა 66,7 ქულა. გამარჯვებულს მხოლოდ 0,1 ქულით ჩამორჩა იმავე გუნდის წევრი ვ. შირაკაია. ჯანუყაშვილმა ნებისმიერი ვარჯიშების შესრულებაში რამდენიმე დაბალი შეფასება მიიღო და ჩამორჩა. მესამე ადგილი დაიკავა ქუთაისელმა მოსწავლემ ფხაკაძემ.

ლენინგრადში, ზამთრის სტალიონზე ჩატარდა სამატრო შეხვედრა ფარიკაობაში ვენის (ავსტრია), რსფსრ-ს, ლენინგრადისა და „ბურვესტნიკის“ (ლენინგრადი) ნაკრებ გუნდებს შორის.

სურათზე: ლენინგრადელ ვ. ხოლოხოვსკისა და ავსტრიელ ტმელნიორს შორის დაშნით ბრძოლის ერთ-ერთი მომენტი. გამარჯვდა ვ. ხოლოხოვსკიმ. ფოტო ნ. ნაუმენკოვისა და კ. ბოგდანოვის. ხაკდების ფოტოქრონიკა.

გავიდა ვინაღვი

„ბ“ კლასის კალათბურთელთა საქვეშინო ტურნირი

„ბ“ კლასის კალათბურთელთა გუნდების მორიგ ტურნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა კოლეჯის წინააღმდეგ თამაშობდა პენზის საკმაოდ ძლიერი გუნდი — „ბურვესტნიკი“. გამარჯვებულს ფინალურ ჯგუფში გასვლის საკმაოდ დიდი შანსი ეძლეოდა, ამიტომ თამაშს პირველივე წუთებიდან დაძაბული ხასიათი ჰქონდა. თავიდანვე ანგარიში წაიყვანეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. მალე ახალაძისა და ბურჯანაძის აქტიური მოქმედების წყალობით იგი 21:12 გახდა. შემდეგ პენზელი ივანოვს სამ ბურთს ღებავს და ტატულაშვილმა სწრაფი გარდევებით უპასუხეს და კიდევ რამდენიმე ბურთი მოათავსეს მოწინააღმდეგის კალათში. პირველი ნახევარი მოიგეს თბილისის უნივერსიტეტის სპორტსმენებმა ანგარიშით 28:16.

წინა მატჩებში სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდმა განიცადა ორი დამარცხება, ფაქტიურად დაკარგა პირველობისათვის ბრძოლის შანსები და საბოლოოდ იძულებული გახდა მხოლოდ VII-XII ადგილები-სათვის ებრძოლა. ამ დღეს მათ წინააღმდეგ თამაშობდნენ ბელორუსელები. მართალია, მატჩის დასაწყისიდან თბილისელები წინ იყვნენ საკმაოდ დიდი განსხვავებით და პირველი ნახევრის მოგებაც შეძლეს — 44:36. მაგრამ მეორე ნახევარში ჭიჭინაძემ და ოლიშარიამ 5-5 პერსონალური შეცდომის გამო დატოვეს მოედანი, რითაც კარგად ისარგებლეს ბელორუსელებმა და 26-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს — 46:46. სამი წუთის შემდეგ წინ უკვე ისინი იყვნენ. მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ანგარიში კვლავ გაათანაბრდა, ხოლო შემდეგში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 70:70. დამატებით დროში ბელორუსელებმა კიდევ 12 ქულა მოიპოვეს, თბილისელებმა კი — 10. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 82:80 ბელორუსიის კალათბურთელთა სასარგებლოდ.

ი. გოლემბოვსკი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

შეჯიბრება დაბოჯრდა

ქაბუჯთა შორის ლიდრობა ბოლომდე შეინარჩუნა თბილისელმა კ. ხოლიკიანმა — 72,5 ქულა. მეორე ადგილზეა გ. კიარელი (თბილისის ლენინის სახ. რაიონი), მესამეზე — რ. ჯაფარიძე (გორი).

მხატვრულ ტანვარჯიშში I თანრიგში პირველ სამ ადგილზე გამოვიდნენ თბილისელი გოგონები: გ. სამოხვალია — 40,65, გ. ხალიკინი — 40,4 და ვ. ციბლისი — 39,7.

ოსტატთა პროგრამით გამოდიოდა მხოლოდ ა. ყარაგოზიანი (აფხაზეთი), რომელმაც დააგროვა 45,65 ქულა. კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებს თბილისის განათლების განყოფილების სპორტსმენებმა — 1671,33 ქულა. მეორე ადგილზეა აფხაზეთის გუნდი — 1318,86 ქულა მესამეზე — ქუთაისი — 1240,57.

ლ. ფალაგანდიშვილი

ოთხთა შორის გამარჯვებულნი


დონის როსტოვი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). აქ დამთავრდა მოზარდ კალათბურთელთა სამატრო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ერევნის, ბაქოსა და როსტოვის ქაბუჯთა და გოგონათა კოლეჯები.

შეჯიბრება მოეწყო სპორტის ახლადგაშენებულ სასახლეში, რომელიც როსტოვის მშენებლებმა წინა დღეს ჩააბარეს საექსპლუატაციოდ სპორტსმენებს. პირველივე დღიდან ხვდებიან, რომ გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები როგორც ქაბუჯთა, ისე გოგონათა შორის თბილისელი კალათბურთელები იყვნენ.

ჩვენმა ქაბუჯებმა თავდაპირველად დაამარცხეს ერევნელი კალათბურთელები — 86:33, შემდეგ მათ ასევე იოლად მოუგეს როსტოვის წარმომადგენლებს — 72:37 და უკანასკნელში შეხვედრა — ბაქოს გუნდს — 81:55.

კარგად ჩატარა შეხვედრები ჩვენი რესპუბლიკის გოგონათა ნაკრებშიც. მან დაამარცხა ერევნის გუნდი — 46:38, როსტოვის სპორტსმენთა კოლეჯი — 65:27 და დაძაბულ ბრძოლაში, სძლია ბაქოს გუნდს — 42:41.

თბილისის ქაბუჯთა და გოგონათა გუნდებს, რომლებმაც ვათამაშებამ პირველი ადგილები დაიკავეს, გადაეცათ საქვეშინო კომიტეტის გარდამავალი თასები, ხოლო სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს მ. კაკაშვილს და გ. ბაბახანდს — დაბლობები.



სამშენებლო სამსახურის სახანძრო დაცვის სამართლებრივი საბჭოთა სახანძრო დაცვის მე-40 წლისთავის აღნიშვნად მოაწყო ავტო-მოტო გარეგანი.

30 მარტს ერევანში, ლენინის მოედნიდან სტარტი მიეცა კოლონას, რომელმაც კურსი აიღო ახტისაკენ. იმავე დღეს გარეგანის მონაწილეები ესტუმრნენ სევანისა და დილიანის რაიონებს, სადაც ჩაატარეს საბჭოთა სახანძრო დაცვის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბრები და ადგილობრივ მოსახლეობას უჩვენეს ხანძარსა-წინააღმდეგო ხასიათის კინო-ფურნალები.

31 მარტს გარეგანის მონაწილე-ნი ესტუმრნენ ერევანს, აქ მათ ინახულეს და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინეს თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მოხალისე სახანძრო რაზმეულს, რის შემდეგ კურსი აიღეს საქართველოს დედაქალაქისაკენ.


სრულ ოთხ საათზე გარეგანის მონაწილეებს სამშენებლო-საქართველოს საზღვრის ახლოს გულბილი შეხვედრა მოუწიეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს მუშაკებმა და თბილისის პიონერ-მოსწავლეთა სახანძრო ნორჩ მე-ხანძრეთა რაზმეულის წევრებმა, რომლებმაც სტუმრებს ყვავილების თაგულები გადასცეს. სახელდახე-

ლო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა და სასურველ სტუმრებს გადარბენის წარმატებით ჩატარება უსურვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსმა ინსპექტორმა პ. ივანოვმა, რის შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდა გარეგანის კომანდორი კაპიტანი ვ. ბაღდასაროვი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულბილი შეხვედრისათვის.

1-ლ აპრილს გარეგანის მონაწილეები იყვნენ თბილისის სახანძრო ნაწილებში, გაეცნენ მათ გამოცდილებას და ისაუბრეს იმ წარმატებათა შესახებ, რომლითაც სომეხი და ქართველი მეხანძრეები ეგებებიან საბჭოთა სახანძრო დაცვის მე-40 წლისთავს.

საინტერესო იყო თბილისელი ეფრეთორის მიხეილ გოგიტაშვილის და ეფრეთორ მარტენ ოგანიანის შეხვედრა. ისინი მესამე თვეა ერთმანეთს ეჯიბრებიან პირველობაში, თუმცა პირადად დღეს გაიცნეს ერთმანეთი.

გარეგანის მონაწილეები 2 აპრილს გავიდნენ თბილისიდან. ისინი ესტუმრებიან მარნეულის, ბოლნისის, დმანისის რაიონული ცენტრების მოსახლეობას და სახანძრო დაცვის მუშაკებს, რის შემდეგ ერევანში დაბრუნდებიან. **პ. შახვილაძე**



100 ჩირაღდნაანი სპორტსმენის მიერ სტადიონის ირგვლივ საბატიო წრის გაკეთების შემდეგ, ცენტრალური ტრიბუნის წინ მოეწყვენ მეჯობრებაში მონაწილე 18 ქვეყნის გუნდები. მონაწილეთ მიესალმა და გამარჯვება უსურვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. ეკევინმა.

მსაჯთა კოლეგია შეჯიბრებას გასწილად აცხადებს. გაჩირაღდნა 75 მეტრიანი ტრამპლინი, ჩატარდა საჩვენებელი ხტომები უძლიერესთა მონაწილეობით.

პირველივე შეხვედრით ნათლად ჩანდა, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს ბევრი რამ გაუკეთებიათ ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. შესანიშნავად იყო მოწყობილი დისტანციები და განსაკუთრებით ტრამპლინი. არცნის ბაქანზე დადგმული წითელი და მწვანე სინათლე სპორტსმენს აძლევდა ნიშანს თუ როდის იყო შესაძლებელი ნახტომის შესრულება.

ჩემპიონატის დღეებში მარტო ტრამპლინი 80-მდე ადამიანი ემსახურებოდა, რომლებიც, როგორც შემდეგ გავიგეთ, ყოველგვარი გასამარჯვლოს გარეშე ასრულებდნენ ამ მოვალეობას, ხოლო ვინც განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავებდა სათხილამურო კავშირი დაპირდა ტურისტულ საგზურებს ფინეთის ფარგლებს გარეთ.

საქრად, ამ ჩემპიონატში გამარჯვების ძირითადი პრეტენდენტები საბჭოთა და ფინელი სპორტსმენები იყვნენ და მაყურებელთა მთელი ყურადღება სწორედ მათ გამოცხადებულ იყო გადატანილი. თუმცა არც ისე დიდი ხნის წინათ ჰეგემონია შეედგნენ ეკუთვნოდათ. ამაზე მეტყველებენ შეჯიბრების შედეგებიც. მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ფინელებს გადაეცათ 4 ოქროსი და 3-3 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი, საბჭოთა სპორტსმენებმა მიიღეს 2 ოქროსი, დასაწყისი, იხ. „ლელო“ № 39.

თელო. დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონულმა შეჯიბრებამ ქართულ ტერიტორიაში მატყუთა შორის. წინითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გამოვიდნენ ა. კირგალიძე (სოფ. ვანთი), გ. სარაჯიშვილი (რუსისპირი), ბოტკოველი (იყალთო), გ. მარკოშვილი. 3. კირვალძე (ვანთი), კ. ნახტორიშვილი (თელავი), დ. ბოტკოველი (რუსისპირი) და ვ. შარაშიძე (რუსისპირი).

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებს რუსისპირის საშუალო სკოლის მოქი-ღავეებმა.

ე. ქამუკაშვილი

ველისციხის (გურჯაანის რაიონი) საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ორ დღეს გაგრძელდა მოსწავლეთა ასპარეზობა ქართულ ტერიტორიაში.

ველისციხეში მოსწავლეებმა ეს ღონისძიება მიუძღვნეს თბილისის 1500 წლის იუბილეს.

თ. გენგაშვილი

ველისციხის რაიონის ორჯონიძის სახელობის სკოლაში ახლანდამთავრდა პირველობა ფრენბურთსა და ქალაქში. ფრენბურთში მონაწილეობა მიიღო ვაჟთა ექვსმა და ქალთა ხუთმა გუნდმა. ვაჟებიდან ყველას აჯობებს მერვეკლასელებმა, გოგონათაგან — IX კლასის სპორტსმენებმა.

ქალაქში სკოლის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ე. ლოტყანიძემ.

ი. ნადაშვილი

გურჯაანის განათლების განყოფილების პროფკავშირის ორგანიზა-

წერთანვე დაღიან ორი-სამა კაცის რაოდენობით, ზაფხულობით კი, როცა თოვლი არ არის, ტრამპლინიდან მხტომელები ვარჯიშობენ ტბებზე მოწყობილ ტრამპლინებზე. სპორტსმენი არცნის ბაქანზე ეშვება სპეციალური დახეით. ჰერში ასრულებს ხტომის იმიტაციას და თავით ეშვება წყალში. სწორედ ამ განაპირობა აქაური სპორტსმენების წარმატებანი ამ სახეობაში.

მსოფლიო პირველობის დამთავრების შემდეგ ვეწვიეთ რესპუბლიკის დედაქალაქს ჰელსინკი. ვინახულეთ სტუდენტთა ქალაქი, სადაც 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების დროს ცხოვრობდა საბჭოთა დელეგაცია. თითქმის ყველა შენობა აგებულია სტუდენტთა ძალებით, მათ შორის დახურული სტადიონი ფეხბურთისა და მძლეობის სექტორებით, სტადიონი ჩოგბურთისა და სხვა თამაშებისათვის, ოუზი, ნიზოსონის სადგური და სხვ.

ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სახლმა, სადაც 1917 წელს ცხოვრობდა ლენინი და რომლის ექსპონატები ამჟამად გადართნილია ტამპერეს ლენინის მუზეუმში. დაგვავლიერეთ ბოტანიკური ბაღი, სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი, სენატის მოედანი, სადაც განლაგებულია მუნიციპალიტეტის შენობა, პრეზიდენტის სასახლე, საბჭოთა კავშირის საელჩო და სხვ.

ქალაქში ორი შესანიშნავი სკულპტურული ფიგურაა: „დღეს სიყვარული“ და „ქალი ზღვიდან“. ეს უკანასკნელი აქაურ სტუდენტ ქალთა სათაყვანებელს წარმოადგენს, რადგან როგორც აქ სწამთ, ის ვისაც ეს ქმნილება წყალობის თვალთ გადახედვს, გაუთხოვარი არ დარჩება. ამიტომაც მისი თაყვანისმცემლებს მიერ, რომლებიც ჰელსინკიში საკმაოდ ბევრია, იგი მუდამ ყვავილებითაა შემკობილი.

მაგრამ ყველაზე უკეთესი რაც ჩვენს აზრით ჰელსინკიში ვნახეთ ეს იყო ოლიმპიური სტადიონი. აქვეა ოლიმპიური მუზეუმი, რომელიც ასახავს ფინეთის სპორტის განვითარების ისტორიას, მუზეუმში საუკეთესო ექსპონატად აღიარებულია ფინელთა სათაყვანებელი გმირის, მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენის მწლოან ნურმის ფეხსაცმელი.

ასე დამთავრდა ჩვენი პირველი ნაცნობა ფინეთთან. მსოფლიო პირველობა დამთავრდა, სადაც საბჭოთა სპორტსმენებმა ერთხელ კიდევ დამატიყეს, რომ ისინი ნამდვილად ერთ-ერთი უძლიერესთაგანნი არიან მსოფლიოში.

კ. ასტახიშვილი

ს უ რ ა თ ე: ლახტის ტრამპლინი. წინა პლანზეა მსაჯთა კოშკურა. ფოტო კ. ასტახიშვილისა.

ციის ინიციატივით მოეწყო რაიონის საშუალო და შვიდწლიანი სკოლების მასწავლებელთა ასპარეზობა ფრენბურთში.

ყველა შეხვედრა მოიგო და რაიონის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა.

ი. ოდიშელიძე

ონში გამართა რაიონის საგზა-ფხულო შეჯიბრება მძლეობისაში, რომელშიც მონაწილეობდა 150-მდე სპორტსმენი, პირველობა გათამაშდა 4 ასაკობრივი ჯგუფისათვის. საერთო გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა სოფელ კეპშიეთის სკოლის კოლექტივს.

ა. მეტრეველი

რედაქტორი **ი. უგულაძე**

კოკა თუ ფონტანი?

ფრანგები დიდ ინტერესს იჩენენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისადმი ფეხბურთში, რომელიც შეეცაში გაიმართება. მოყვარულები და მწვრთნელები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ნაციონალური ნაკრების შემადგენლობით. აქ ყველამ კარგად იცის, რომ ფონტანი — „რემისის“ ცენტრალური თავდამსხმელი ყველაზე შედეგითა საფრანგეთში, მაგრამ ფეხბურთის მოყვარულთა უმეტესობას ამ ადგილის უკონკურენტო კანდიდატად მიანია რ. კოპა, რომელიც ამჟამად მადრიდის „რეალში“ თამაშობს და როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატში დაიცავს საფრანგეთის ღირსებას.

სულ სხვა აზრისაა „რემისისა“ და ნაციონალური ნაკრების მწვრთნელი

ა. ბატო. მისი აზრით ორივე ფეხბურთელს შეუძლია დაიკავოს ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი, რადგან მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდის შემადგენლობაში უნდა იყოს 22 ფეხბურთელი ე. ი. ორი ერთ ადგილზე. გარდა ამისა, თუ კოპა იქნება გუნდში ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფონტანი დარჩეს „თამაშვარე“. ახლა საქმე ის კი არაა რა ადგილზე ითამაშებს კოპა, არამედ ის, რომ შეიძლება მილიანად იქნას გამოყენებული ორივეს შესაძლებლობანი. მისი აზრით კოპა—შეტყვის საუკეთესო ორგანიზატორია, მაგრამ ამჟამად დროს ბრწყინვალედ თამაშობს მარჯვენა გარემარბად, ამდენად კოპას და ფონტანს შორის არავითარი კონკურენცია არ არსებობს.



— ნუ სტორი, გავიზრდებით და ჩვენც მოვცემენ ბავშვთა ბილეთს. ნახ. სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ანთაძისა.